მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

„სკოლის სახელწოდება“

202_ წელი

ზოგადი ინფორმაცია

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ ინფორმაციისა/დოკუმენტის ხელმისაწვდომობას და ღიაობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას.

დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაცია განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ვებგვერდსა და ინტერნეტ სივრცეში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სკოლაში მოსწავლის მიღების, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა თუ აღდგენის პროცესებთან დაკავშირებით, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირს (სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელი).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყობს ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას: მზაობას მოსწავლეთა მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე (მაგ: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა უნიფორმა, ქცევის წესები, საგნობრივი გამოცდები მოსწავლეთა კლასებში განაწილება და სხვ).

თავი 1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა

მუხლი 1: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და შემდგომ გასავლელი ეტაპების თაობაზე, სკოლა იცავს ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით და დაინტერესებულ პირს განუმარტავს, რომ:

1. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, პირველ კლასში რეგისტრირდება პირი რომელსაც 1 ოქტომბრამდე უსრულდება 6 წელი. აღნიშნული ვრცელდება როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლაზე. სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, გამონაკლისი არ დაიშვება.
2. საქართველოს საჯარო სკოლების კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით, კერძოდ, კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25-ს. მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, ასეთ შემთხვევაში,კლასი დაკომპლექტდება მაქსიმუმ 29 მოსწავლით.
3. კერძო სკოლაში - ამდენივე ან უფრო ნაკლები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები თავის მხრივ განსაზღვრავენ სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობას.
2. საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების პროპორციულად გადანაწილებას პარალელურ კლასებში. აღნიშნულ ინფორმაციას, ვადების დაცვით, ასახავს eschool.emis.ge-ზე.
3. ვინაიდან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების სკოლაში რეგისტრაციის ვადები უსწრებს ყველა შემდგომ ვადას, საჯარო სკოლა ცალკე აქვეყნებს ინფორმაციას დაინტერესებული პირებისთვის, რომ მისაღები კონტინგენტის შესაბამისად, სკოლამ დროულად და ეფექტურად დაგეგმოს

სასწავლო პროცესი და საჭიროების მიხედვით განათავსოს და მოაწყოს საკლასო ოთახები.

4. თუ სსსმ მოსწავლის და-ძმაც ირიცხება ამავე სკოლაში, სსსმ მოსწავლის რეგისტრაცია მაინც უნდა მოხდეს პირველ ეტაპზე, რომ სკოლამ განსაზღვროს ყველა საჭიროება და მისაღებ მოსწავლეთა რიცხოვნობა შემდეგი ეტაპები.
5. კერძო სკოლაში რეგისტრაცია ხორციელდება სკოლასთან უშუალო კომუნიკაციით და შესაბამის პორტალზე რეგისტრაციით.

მუხლი 3: საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, **სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების თაობაზე ბრძანებას** ათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სკოლის სოციალურ გვერდზე (არსებობის შემთხვევაში).

1. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რეგისტრაცია ელექტრონულია. რეგისტრაციის პერიოდია (თებერვალი-ივნისი).

მუხლი 5*:* საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის ჩასარიცხად, აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები მოიცავს ოთხ ეტაპს, კერძოდ:

1. **I ეტაპი - სსსმ მოსწავლეების ელექტრონული რეგისტრაცია,** რეგისტრაციას უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

1.1. მითითებულ ვადაში რეგისტრაციის შემთხვევაში, პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენლის უთითებს პირის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის შეფასების მოთხოვნის მიზნით ავსებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მომართვის ფორმას, რომელსაც დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს.

2. **II ეტაპი - რეგისტრირდებიან ბავშვები,**

2.1. რომელთა და-ძმაც სწავლობს სასურველ სკოლაში;

2.2. რომელთა მშობელიც სასურველი სკოლის თანამშრომელია;

2.3. რომელთა ოჯახიდანაც ერთდროულად ორი, ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

2.4. რეგისტრაციას წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა.

3. III ეტაპი - საყოველთაო ონლაინ რეგისტრაცია.

3.1. მესამე ეტაპზე ცხადდება საყოველთაო რეგისტრაცია ვებგვერდზე registration.emis.ge. საყოველთაო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება როგორც ტელევიზიით, ასევე სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით.

3.2. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

4. **IV ეტაპი** - III ეტაპის დასრულების შემდეგ, განთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე, საჯარო სკოლის მიერ განხორციელდება იმ მოსწავლეების რეგისტრაცია, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე, ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა.[1]

4.1. სავალდებულო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის რეგისტრაციას.

მუხლი 6: პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია[2]:

1. კერძო სკოლა, დირექტორის აქტით განსაზღვრავს მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალსა და მათი წარდგენის ვადას;
2. წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე);

---

[1] *ყველა ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მოქალაქის მიმართვიანობის შემთხვევაში, საჯარო სკოლა მოქალაქეს განუმარტავს პროცედურებს თუ, როგორ უნდა მოხდეს შვილის/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის სკოლაში რეგისტრაცია.*

[2] რესურსსკოლებში და პანსიონური მომსახურების მიღების მიზნით, რესურსსკოლასა და პანსიონებში ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით.

3. მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).
4. საჯარო სკოლა, შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე, პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის/მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას და ამ მოსწავლის/მოსწავლეების პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში[3] (eschool.emis.ge).

მუხლი 7: დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე საგნის/საგნების გაძლიერებულ სწავლებას, უფლებამოსილია მობილობის მსურველი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონულად მოსწავლის მობილობის განხორციელებამდე, გაძლიერებული სწავლების საგანში/საგნებში ჩაატაროს გამოცდა მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ცალკეული კლასის/კლასების სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან მოსწავლის ცოდნისა და უნარების თავსებადობის დადგენის მიზნით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მიღებული შედეგების საფუძველზე, უარი უთხრას მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვაზე, ან დაიწყოს ელექტრონულად მოსწავლის მობილობის განხორციელების პროცედურა და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შეავსოს მობილობის მოთხოვნის ელექტრონული ფორმა და მოთხოვნის დადასტურების შემდეგ, მოსწავლეს ჩარიცხავს იმ კლასში, რომლის წინმსწრები კლასის საგანმანათლებლო პროგრამაც აქვს დაძლეული.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

---

[3] *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დაინტერესებულ პირს, საჭიროების შემთხვევაში, განუმარტავს, რომ პირველ კლასში შესაძლებელია (დასაშვებია) 10 წლამდე ასაკის მოსწავლის რეგისტრაცია.*

მუხლი 8: II-IX კლასებში ჩასარიცხად მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს სკოლას და წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სრულწლოვანი მოსწავლის, ხოლო არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. არასრულწლოვანი მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

მუხლი 9: საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება საშუალო საფეხურზე ჩარიცხვის მსურველ პირებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განუმარტავს, რომ:
   1.1. საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები) ჩარიცხვისთვის აუცილებელია მოსწავლეს ჰქონდეს საბაზო განათლების დამადასტურებელი ატესტატი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ჩარიცხვა, მიუხედავად ასაკისა, მოხდება მაქსიმუმ IX კლასში.
   1.2. თუ მოსწავლეს არ აქვს დაძლეული საბაზო საფეხური, მოსწავლე შესაძლებელია ჩაირიცხოს მულტიგუნდის დასკვნის საფუძველზე;
   1.3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

მუხლი 10: უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვა

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, მას შემდეგ რაც მიიღებს განცხადებას და დოკუმენტაციას, განუმარტავს, რომ მათ უნდა მიმართონ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (https://eqe.ge/ka/faq/18/show), რომელიც შეისწავლის მოსწავლის

საგანმანათლებლო ისტორიას და დაადგენს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემასთან შესაბამისობას.

2. პროცესის დასრულებამდე, დაინტერესებული პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წერს განცხადებას, რომ მოსწავლე დაესწროს საგაკვეთილო პროცესს. ხოლო აღიარების შემდეგ იწერება განცხადება ჩარიცხვის თაობაზე.
3. აღიარების საფუძველზე განისაზღვრება, თუ რომელ კლასში ჩაირიცხება მოსწავლე და რა პირობებით.

მუხლი 11: სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვა

1. განათლების მიღმა დარჩენილი მოზარდის ან სწავლის მიტოვების მაღალი რისკის მქონე მოსწავლეების ზოგად განათლებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის, სკოლაში, მშობლის/მეურვის მომართვის შემთხვევაში დგინდება ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვი ირიცხება ასაკის შესაბამის კლასში ან არაუმეტეს 3 კლასით დაბალ კლასში. ხოლო, საჯარო სკოლა მოსწავლესთან მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რათა ჩართოს აკადემიურ პროცესებში.

თავი 2. მოსწავლის სტატუსის შეჩერება[4]

მუხლი 12: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩერებს მოსწავლის სტატუსს იმ შემთხვევაში, თუ:

2. მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;
   2.1. მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;
   2.2. სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;
   2.3. არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის

4 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები 9 კლასისი ჩათვლით მოსწავლეებს უჩერებენ სტატუსს,ხოლო მე-10 კლასიდან უბლებამოსილნი არიან მოსწავლეს შეუწყვიტონ სტატუსი.

შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე, სკოლა იკვლევს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადენს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზებს. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში.

3. მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა განახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელი ამზადებს წერილობით ანგარიშს მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართავს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.

მუხლი 13: კერძო სკოლის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა[5]

1. კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ

1.1. კერძო სკოლა ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინებს მიმდინარე სასწავლო სემესტრს.

1.2. კერძო სკოლა ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვეტს მოსწავლის სტატუსს მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

5 .კერძო სკოლა მოსწავლეს სტატუსს უწყვიტავს ფინანსური დავალიანების შემთხვევაში თუ მას დაძლეული აქვს 9 კლასი., სხვა შემთხვევაში მოქმედებს 04/ნ ბრძანებისა და „ზოგადი განათლების კანონის' შესაბამისად.

1.3. კერძო სკოლა ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე წერილობით აფრთხილებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელს და განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, აგრეთვე განუმარტავს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებს.
1.4. კერძო სკოლა მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, აღნიშნულს, წერილობით აცნობებს სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
1.5. მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში კერძო სკოლა, მოსწავლის პირადი საქმეს და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენ დოკუმენტაციას გადასცემს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.
1.6. კერძო სკოლა, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმეს და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციას გადასცემს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში უბრუნებს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასურს (არსებობის შემთხვევაში).

თავი 3. სტატუსის აღდგენა

მუხლი 14: მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით, მას შემდეგ რაც მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე სკოლას (ან უფლებამონაცვლე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში სასურველი სკოლა), რომელმაც კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეს შეუჩერა სტატუსი და ორი სამუშაო დღის ვადაში ინფორმაციას ასახავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

თავი 4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობა

მუხლი 15: სკოლა მოსწავლის მობილობით დაინტერესებულ პირს განუმარტავს, მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებს, (ასევე იმ შემთხვევაში თუ სკოლაში არ არის თავისუფალი ადგილები ან/და ადაპტირებული გარემო, რომლითაც უზრუნველყოფს სსსმ პირის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სკოლა მაინც იტოვებს

განცხადებას და პასუხს, დაინტერესებულ პირს, უგზავნის წერილობით) კერძოდ, რომ მობილობა დაუშვებელია:

1. კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე;
2. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი კლასის მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 71 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო წლის დაწყების თარიღზე (შემდგომში – სასწავლო წლის დაწყების თარიღი) გვიან. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მობილობის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირველი კლასის მოსწავლეებზე, რომლებსაც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი შეუსრულდათ სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით და სწავლობენ იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც სწავლა დაიწყეს სასწავლო წლის დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 1 თვისა;
3. სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
4. მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას.
5. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, სკოლის ან/და მოქალაქის მიმართვიანობის შემთხვევაში, მობილობისთვის შეზღუდულ პერიოდში, თანხმობას/უარს გასცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ის ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო.

მუხლი 16: მობილობისთვის, სკოლა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დეტალურად აცნობს საჭირო პროცედურებს, რომლის განხორციელების შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლიდანაც გადადის მოსწავლე, ახდენს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მობილობაზე შემოსული ელექტრონული მოთხოვნის დადასტურებას ან უარყოფას.

1. იმ შემთხვევაში თუ, სკოლისთვის ცნობილი გახდება, რომ მოსწავლის მობილობასთან დაკავშირებით, მშობლებსა ან/და კანონიერ წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა და აქედან რომელიმე მხარე წინააღმდეგია აღნიშნულის, ამ შემთხვევაში სკოლა არ ადასტურებს მობილობის ელექტრონულ მოთხოვნას, იმ დრომდე სანამ მშობლებს შორის არ დასრულდება სასამართლო დავა და/ან იმ დრომდე სანამ არ მიიღებს ორივე მშობლის წერილობით თანხმობას, აღნიშნულის შესახებ პასუხს აცნობებს ორივე

დაინტერესებულ მხარეს და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, ინფორმაციას აწვდის სოციალურ მუშაკს.

2. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია და ამის შესახებ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და მოსწავლეს, რომ მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, სკოლამ, შესაძლოა, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

თავი 5. კლასისა და საფეხურის დაძლევა

მუხლი 17: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ, კერძოდ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს, დაადგინოს გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი.
2. თუ მოსწავლემ კონკრეტულ კლასში ვერ გადალახა კერძო სკოლების და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლების მიერ დადგენილი ბარიერი, მაგრამ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ბარიერი, უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სკოლის მომდევნო კლასში.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გაწერილი აქვს საგამოცდო ბადე, აღნიშნულის თაობაზე, წინასწარ, გონივრულ ვადაში ინფორმაციას და დეტალებს აცნობს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წინასწარ აცნობს, მოსწავლეებს ინფორმაციას, რომ სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. (გამოცდა, ორი წლის მანძილზე არ ტარდება ერთისა და იმავე საგანში).
5. კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
6. ექსტერნი წესით კლასის დაძლევის შემთხვევაში (თუნდაც ერთ საგანში) მოსწავლე კარგავს მედალს (“FLEX” -ის პროგრამის მონაწილის გარდა).
7. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

8. მოსწავლისთვის საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
9. ასევე, საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას საშუალო განათლების ატესტატის აღების უფლებას.
10. ექსტერნატის ფორმით ამა თუ იმ საფეხურზე ზოგადი განათლების მიღება ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად დაძლევას.
11. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
    11.1. სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
    11.2. სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.
12. სსსმ მოსწავლის მიმართ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები და ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.
13. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლა უზრუნველყოფს საგამოცდო მასალის ადაპტირებას – იქმნება ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

დანართი[6]

სსიპ _____ სკოლის დირექტორს,
(ქალ)ბატონ _____ _____ს

ამავე სკოლის ____ კლასის მოსწავლის მშობლის და/ან
მოქალაქის
_____ _____ს

განცხადება

_____
_____
_____
_____.

ხელმოწერა
თარიღი

[6] განცხადება, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ, უნდა დაიწეროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის სახელზე, უნდა შეიცავდეს, ყველა იმ საჭირო ინფორმაციას, რომლის საშუალებითაც მოხდება დაინტერესებული პირის იდენტიფიცირება. განცხადებას თან უნდა დაერთოს ამ წესის პირველი მუხლით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

<u>რეგულაციები</u>

კომპონენტი	პროცედურა	მტკიცებულება
1.1 სკოლაში რეგისტრაცია	• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში განსაზღვრავს პირველ კლასში მისაღებ მოსწავლეთა რიცხოვნობას. აღნიშნულ ინფორმაციას, ვადების დაცვით, სკოლა ასახავს eschool.emis.ge-ზე. • საჯარო სკოლების კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არის 25, მაქსიმუმ 29. კერძო სკოლაში - ამდენივე ან უფრო ნაკლები. • სპეციალურის საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის სკოლა ცალკე აქვეყნებს ინფორმაციას მისაღები კონტინგენტის შესაბამისად, რათა სკოლამ დროულად და ეფექტურად დაგეგმოს სასწავლო პროცესი და საჭიროების მიხედვით განათავსოს და მოაწყოს საკლასო ოთახები. • თუ სსსმ მოსწავლის და-ძმაც ირიცხება ამავე სკოლაში, სსსმ მოსწავლის რეგისტრაცია მაინც უნდა მოხდეს პირველ ეტაპზე, • კერძო სკოლაში რეგისტრაცია ხორციელდება სკოლასთან უშუალო კომუნიკაციით.	*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.*

1.2 სკოლაში რეგისტრაციის ეტაპები	• სკოლა, სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად ელექტრონული რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების თაობაზე ბრძანებას ათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სკოლის სოციალურ გვერდზე (არსებობის შემთხვევაში). • საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რეგისტრაცია ელექტრონულია. I ეტაპი - სსსმ მოსწავლეების ელექტრონული რეგისტრაცია, რეგისტრაციას უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.	• *მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.*

	II ეტაპი - რეგისტრირდებიან ბავშვები, რომელთა და-ძმაც სწავლობს სასურველ სკოლაში; რომელთა მშობელიც სასურველი სკოლის თანამშრომელია; რომელთა ოჯახიდანაც ერთდროულად ორი, ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში. III ეტაპი - საყოველთაო ონლაინ რეგისტრაცია. IV ეტაპი - III ეტაპის დასრულების შემდეგ, განთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე განხორციელდება იმ მოსწავლეების რეგისტრაცია, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე, ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა. • პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია: მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება და მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და/ან საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).	

1.3.საბაზო და საშუალო საფეხურზე ჩარიცხვა	1.დაწყებით და საბაზო საფეხურზე (II-IX კლასებში) მოსწავლის ჩარიცხვა ხდება მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში მიმართვიანობის შემდეგ. 2.მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს წინამდებარე კლასები. 3.საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები) ჩარიცხვისთვის აუცილებელია მოსწავლეს ჰქონდეს საბაზო განათლების დამადასტურებელი ატესტატი. 4.წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ჩარიცხვა, მიუხედავად ასაკისა, მოხდება მაქსიმუმ IX კლასში. 5.სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ, სკოლა მოსწავლესთან გასაუბრების საფუძველზე, საჭიროების მიხედვით, შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმას კონკრეტულ საგნებში (მაგალითად: ქართული ენა და ლიტერატურა, საზოგადოებრივი მეცნიერებები და ა.შ.).	• *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“.* *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანება ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების შესახებ*
1.4.სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვა	განათლების მიღმა დარჩენილი მოზარდის ან სწავლის მიტოვების მაღალი რისკის მქონე მოსწავლეების ზოგად განათლებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის, სკოლაში, მშობლის/მეურვის მომართვის შემთხვევაში დგინდება ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვი ირიცხება ასაკის შესაბამის კლასში ან არაუმეტეს 3 კლასით დაბალ კლასში.	*ბავშვის უფლებათა კოდექსი*

1.5. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვა	1.მშობელი მიდის სკოლაში, წერს განცხადებას და წარადგენს მისი შვილის საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს. 2.ამ საბუთების საფუძველზე სკოლა ამზადებს დასკვნას. დასკვნა კეთდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. 3. მშობელი წერს განცხადებას, რომ საბუთების აღიარებამდე სკოლამ მოსწავლე მიიღოს სასწავლო პროცესზე დასასწრებად. 3. უკვე შემდეგ მშობელი მიდის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში და წერს განცხადება აღიარების შესახებ. 4. ხოლო აღიარების მიღების შემდეგ იწერება ახალი განცხადება, მოსწავლის შესაბამის კლასში ჩარიცხვის თაობაზე.	• *საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანება „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ*

1.5 მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა	1.მოსწავლეს სტატუსი უჩერდება თუ 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში; 2.მშობლის განცხადების საფუძველზე; 3. სკოლას შეუწყდა ავტორიზაცია; ხოლო სტატუსი უწყდება მე-10 კლასიდან ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად და კერძო სკოლაში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში.	• *04/ნ გრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ* • *ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი*
1.6. მოსწავლის სტატუსის აღდგენა	მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით;	• *04/ნ გრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ*
1.7.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობა	მობილობა დაუშვებელი: 1.კალენდარული წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე; 2. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი კლასის მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სწავლა დაიწყეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 71 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო წლის დაწყების თარიღზე გვიან;	• *გრძანება N193/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“*

	3.სასწავლო წლის დასრულებამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში; 4.მე-12 კლასელებისათვის მე-12 კლასის მე-2 სემესტრის მიმდინარეობისას.	
1.8. კლასისა და საფეხურის დაძლევა	1.მოსწავლისთვის საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი. 2.საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი. 3. ექსტერნატის ფორმით ამა თუ იმ საფეხურზე ზოგადი განათლების მიღება ითვალისწინებს პირის მიერ ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/ სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დამოუკიდებლად დაძლევას. 4.მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით.	• *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმა“.*

კანონმდებლობები:

1.საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

2. ბავშვის უფლებათა კოდექსი.

2.საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“

3.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“.

4.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმა“.

5.საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანება „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №18/ნ ბრძანება „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“.